ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№59

ქ. თბილისი; 17 მარტი, 2020 წ. 15: 30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირებული, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

დასაწყისისთვის, ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე და განმარტა, რომ ე.წ. „ახალი კორონა ვირუსის“ – „COVID-19”-ის გამო, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანების მსგავსად, დიდი გამოწვევის წინაშე დადგა მთლიანად საქართველო, **მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.** მისივე თქმით, კორონავირუსის პანდემია ძალიან სერიოზული გამოწვევაა და შესაძლოა, ის კიდევ უფრო მეტად დამძიმდეს.

როგორც **ბატონმა ლევანმა** აღნიშნა, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებები განახორციელა ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიების ფარგლებში. მიმდინარეობს მასობრივი სადეზინფექციო სამუშაოები, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე სასწავლო დაწესებულებებსა და თავშეყრის ადგილებში. „კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკების შესამცირებლად კომპანიებს დისტანციურად მუშაობა უწევთ“ - **განაცხადა ლევან ჟორჟოლიანმა.**

კომისიის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო იაზრებს პასუხისმგებლობას საზოგადოების, კოლეგებისა და საკრებულოში დასაქმებული ადამიანების წინაშე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს და მიმდინარე მოვლენების შესაბამისად რეაგირებს. მისივე თქმით, ვირუსის საქართველოში დაფიქსირებისთანავე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო შესაბამისი ზომები, გაიზიარა საერთაშორისო მითითებები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები, კერძოდ, ახალი კორონა ვირუსისაგან თავდაცვის მიზნით, საკრებულოს შენობა დამუშავდა, სპეციალური სადეზინფექციო ხსნარით, განთავსდა სადეზინფექციო დანადგარები. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, შემოღებულ იქნა მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ჩართულობით.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში შესაბამისი ცვლილების განხორციელების აუცილებლობა და საკრებულოს საქმიანობის დისტანციურად განხორციელებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის უზრუნველყოფა.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში, კერძოდ, რეგლამენტს ემატება **65[1] მუხლი,** რომელიც ითვალისწინებს ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით საკრებულოს საქმიანობის დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თათია ბარაქაძე**